

ბალდათის მუნიციპალიტეტი, ა. (ა.) ი. კ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი

ს ა მ ი კ ი თ ხ ვ ა ა ხ ა დ ბ ი უ ჯ ე ტ ჯ ე

ბალდათის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი 9 იანვრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დამტკიცდა, თუმცა სხდომას ცხარე კამათის გარეშე არ ჩაუვლია. თავად ბიუჯეტის პარამეტრებზე და კიდევ რამდენიმე საკითხზე, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. სწორედ ამიტომაც მივმართეთ გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, საკრებულოს თავმჯდომარეს და საკრებულოს ყველა დეპუტატს ერთი და იგივე სამი კითხვით. აქვე აღვნიშნავთ, რომ კითხვარი ადრესატებს პირად ელექტრონულ ფოსტაზე დაეგზავნათ, ბეჭდური ვერსია კი საკრებულოს აპარატს ჩავაბარეთ. ქვემოთ, შეგიძლიათ იმათ მოსაზრებებს გაეცნოთ, რომლებმაც „ჩემი გაზეთი“-ს კითხვებს უპასუხეს.

1. 29 დეკემბრის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდა ბალდათის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი, თუმცა 9 იანვრის რიგგარეშე სხდომაზე დამტკიცდა პროექტი 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ – ცვლილებების თანახმად, 2017 წლის ბიუჯეტში გადანაწილდა 2016 წლის ნაშთი, რომელმაც შეადგინა 1 589 600 ლარი და საბოლოოდ ბიუჯეტი განისაზღვრა 6 357 300 ლარით. გთხოვთ, გაგვიზიაროთ ახალი ბიუჯეტის თქვენური დეტალები, გკონკრეტულად თუ არა შენიშვნები და თქვენი აზრით, სწორად იყო თუ არა შერჩეული პრიორიტეტები გამგებლის მხრიდან წარმოდგენილ ბიუჯეტში?

2. საკრებულოს სხდომაზე აღინიშნა, რომ ახალი ბიუჯეტი მხოლოდ 9-10 თვეზეა განვიწყობილი, რაც წლის ბოლოს გარკვეულ პრობლემებს შექმნის, ამავე დროს, ლაპარაკია ეგრეთ წოდებულ „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკაზე, ანუ ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებაზე. თქვენი მოსაზრება ამ საკითხზე?

3. კამათი გამოიწვია ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლისათვის სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკრებულოს სხდომაზე გამოტანილმა საკითხმა. ლაპარაკია ნავის გადაზიდვით 2 მანქანისა და 125 სანაგვე ურნის შექენისათვის სესხის აღებაზე. გთხოვთ, ჩვენი მკითხველი უფრო დეტალურად გაგვარკვიოს ამ საკითხში.

ტი დაგვემილია და დამტკიცებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექს“-ის და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექს“-ის მოთხოვნათა შესაბამისად. რაც შეეხება იმას, რომ ბიუჯეტი მხოლოდ 9-10 თვეზეა გათვლილი, ვერ ვიტყვი რომ ეს ასეა, ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო „საქართველოს კანონი 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ – მეორე თავის 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტის მოთხოვნები, რომელიც ითვალისწინებს თვითმმართველი ერთეულების 2017 წლის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებში (გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა) ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები (შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, სუბსიდია) შეადგენდეს



არჩილ გოგასაძე – ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

1. ბალდათის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 29 დეკემბრის N33 დადგენილებით მიღებული იქნა ბალდათის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი, რომლის მოცულობა შეადგენს 4767,7 ათასი ლარს. 2017 წლის 9 იანვრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ცვლილებები შევიდა დამტკიცებულ ბიუჯეტში და ბიუჯეტის მოცულობა 2016 წლის ნაშთის ხარჯზე გაიზარდა 1589,6 ათასი ლარით და შეადგინა 6357,3 ათასი ლარი. აღნიშნულ ნაშთში საკუთარი სახსრები არის 362,8 ათასი ლარი, ხოლო 1226,8 ათასი ლარი საქართველოს მთავრობის განკარგულებით ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გამოყოფილი თანხა. მათ შორის, სოფლის პროგრამა 72,1 ათასი ლარი, რეგიონალური პროექტების ფონდი – 644 ათასი ლარი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები – 510,7 ათასი ლარი. აღნიშნული თანხების აუთენტიფიკაცია გამოწვეულია იმით, რომ წლის ბოლოს არ მოხდა ინფრასტრუქტურის ობიექტების მიღება. საკუთარი სახსრების ნაშთიდან 213,7 ათასი ლარი მიმართულია 2016 წელს წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარავად, ხოლო 149,1 ათასი ლარი მიმართულია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.

2. 2017 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

არაუმეტეს 2016 წლის საკასო შესრულების მაჩვენებლის 90%-ს. გამომდინარე აქედან, ბიუჯეტი დაგეგმილია 12 თვეზე.

3. საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული გრანტისა და სასესიო ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველომ მყარი ნარჩენების მართვის პროექტისათვის მიიღო დაფინანსება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სახელმწიფომ სსიპ-საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით, ბალდათის მუნიციპალიტეტისათვის შეიძინა ორი ერთეული კომპაქტორიანი ნაგავზიდვი მანქანა; 7მკპ-იანი და 13მკპ-იანი, ასევე 125 ცალი სანაგვე კონტეინერი. მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღებისათვის ხელსაყრელი პირობების შეთავაზების მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გამართული მოლაპარაკების შედეგად, გადაწყდა, რომ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ჩვენზე გასაცემი სესხის მოცულობა განისაზღვრა ფიქსირებულად ლარებში და შეადგინა 446075 (ოთხასორმოცდაექვსი ათას სამოცდათხუთმეტი) ლარი. გადახდა დაიწყო 2019 წლიდან 10 წლის განმავლობაში ეტაპობრივად.

გრიგოლ მაჩიტაძე – ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავება და დამტკიცება საკმაოდ შრომატევადი პროცესია და მასში ჩაბმულია გამგებლის სამსახურები, წარმომადგენლები, გამგებლის მიერ დაფუძნებული ა.ა.ი.პ-ები და სხვა დაინტერესებული პირები. მიმდინარე წლის ბიუჯეტის შედგენის დროს დავე გამოიწვია მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის შემცირებულმა მონაცემმა. გასულ წელს 500,0 ათასი ლარით იქნა შემცირებული ტრანსფერის მოცულობა, რომელიც უნდა შეესებოდა საშემოსავლო გადასახადით, მაგრამ ეს ვალდებულება არ შესრულდა, რის გამოც, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოუწია ადგილი ვალდებულებების არსებული ნაშთების ხარჯზე დაფარვა. წელს, მართალია, საშემოსავლოს თანხები 450,0 ათასის ფარგლებში დაიგეგმა, მაგრამ, სავარაუდოდ, მისი მოზლიზებაც გაჭირდება თუ არ იქნა გამგებლის პრინციპული პოზიცია და ფინანსთა სამინისტროს მზაობა.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის დამტკიცებისათვის, გამგებლის მიერ დროულად იქნა გამოგზავნილი საკრებულოში 2017 წლის პრიორიტეტების გეგმა და ბიუჯეტის პროექტი. მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია;
- მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება.
- სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა;
- სოციალური პროგრამების დაფინანსება;

საკრებულოს ორგანიზებით მოხდა ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა, პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული წინადადებები მუნიციპალიტეტის საკრებულომ რეაგირებისათვის გადაუგზავნა მუნიციპალიტეტის გამგებლს, რაც ითვალისწინებდა ბიუჯეტის გადასახადებისა და სხვა შემოსავლების 2017 წლის პროგნოზების 2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ საპროგნოზო დონესთან შესაბამისობას. ვინაიდან 2017 წლის გადასახადები 50,0 ათასი ლარით ნაკლები იყო დაგეგმილი 2016 წლის დონესთან შედარებით, ხოლო სხვა შემოსავლები 130,1 ათასი ლარით ნაკლები 2016 წლის დონესთან შედარებით, დაზუსტებას საჭიროებდა გარე განათების მომსახურებისათვის გათვალისწინებული ხარჯების ოდენობა, ასევე მოსალოდნელი სტიქიის სალიკვიდაციო ხარჯები. ბიუჯეტის შემოსულობებში დამატებით მისაღებად

გათვალისწინებული თანხები და ბიუჯეტის საგადასახადო ნაწილში შემცირებული ხარჯები მიმართულიყო სოციალური პროგრამების გაზრდისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა. (ა) ი. პ-ის 2017 წლის სუბსიდირების შევსებისათვის.

ბალდათის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგინა ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ-მა დეკემბრის დასაწყისში საქართველოს კანონის საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად. წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული იქნა პირვანდელ პროექტთან შედარებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა) იპ-ის 2017 წლის სუბსიდირების შევსება. ვერ გაითვალისწინეს ადგილობრივ ბიუჯეტში სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების ზრდა.

2. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ თითქოს 2017 წლის ბიუჯეტის სახელფასო ფონდი მხოლოდ 9-10 თვეზეა გათვალისწინებული. მინდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელი ღონისძიებები და შეზღუდვები“-ს შესაბამისად დაევალებოდა მუნიციპალიტეტებს, განახორციელონ სათანადო ღონისძიებები, რათა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2017 წლის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში (გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა) ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები (ძირითადად ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“, „საქონლისა და მომსახურების“ და „სუბსიდირების“ მუხლებში) შეადგენდეს არაუმეტეს 2016 წლის (მოსალოდნელი) საკასო შესრულების მაჩვენებლის 90%-ს; გამომდინარე აღნიშნულიდან, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მივიღეთ საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

3. ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა მუნიციპალიტეტის საკრებულოდან ითხოვა თანხმობა ნაგავზიდვი მანქანების შესაძენად სესხის აღებისათვის. პროექტი ხორციელდება საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული გრანტისა და სასესიო ხელშეკრულების ფარგლებში. სახელმწიფომ სსიპ-საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით, ბალდათის მუნიციპალიტეტისათვის შეიძინა ორი ერთეული კომპაქტორიანი ნაგავზიდვი მანქანა, 7 მკპ და 13 მკპ ტევადობის. ასევე 125 ცალი სანაგვე კონტეინერი. ხელშეკრულების ფასი შეადგენს 446075 ლარს. აღნიშნული თანხის გადახდა უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტსა და ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გადახდის ვადა იწყება 2019 წლის 28 ოქტომბრიდან, საშუალოდ პერიოდი არის სამი წელი. ამის შემდეგ სესხი უნდა დაიფაროს 7 წლის განმავლობაში. ცვლილებების განხილვა შედგენს 1,5%. დღესდღეობით აღნიშნული ტექნიკა და სანაგვე ურნები მუნიციპალიტეტისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა, ხოლო

დასაწყისი 1 33.

მისი შესაძენი თანხის დაფარვა ხდება წლების შემდეგ საკმაოდ შეღავათიანი პირობებით.

გაბრიელ ლიბრაძე – საკრებულოს დეპუტატი

1. როგორც 29 დეკემბრის, ასევე 9 იანვრის საკრებულოს სხდომაზე მხარი დაუჭირე ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტს. მართალია, ბიუჯეტი მცირეა, თუმცა პრიორიტეტები სწორად იქნა შერჩეული:

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა 875 900 ლარი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობისა და მათი სოციალური დაცვისათვის 342 000 ლარი;

დანებებით, ზოგადი და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობისათვის 780 000 ლარი; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი 881 000 ლარი.

სასურველი იქნებოდა შემდეგ წლებში ბიუჯეტის გაზრდა შესაძლებელი იყოს და მეტი თანხები იქნას გამოყოფილი მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარებისათვის.

2. მართალია, რომ ბიუჯეტი წლის ბოლომდე არ არის განეროლი, თუმცა გვაქვს გასული წლების გამოცდილება, როცა წლის განმავლობაში ბიუჯეტში ხდებოდა თანხების შემოღება. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია, აგრეთვე, „ქაშაობის შემოჭრის“ პოლიტიკა, რაც ყოველთვის მტკივნეული პროცესია, მაგრამ აუცილებელია მცირე ბიუჯეტის პირობებში, რომლის თანახმადაც მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს მივლინების ხარჯების დაფინანსება, მოხმარებული სანაგვისა და ოფისის მოვლა-შენახვისათვის დაკავშირებული ხარჯები; უნდა შეიზღუდოს წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსება, რბილი ინვენტარის, უნიფორმების, საოფისე ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა.

3. ეს საკითხი, ჩემი აზრით, საკამათო არ უნდა იყოს, ვინაიდან თითოეული ჩვენგანი უნდა ცდილობდეს გარემოს დაცვას დაბინძურებისაგან. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მუნიციპალიტეტში ტურისტების მოსაზიდად, მათთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად, სუფთა გარემო აუცილებელია. რაც

შეეხება ნაგვის გადამზიდი მანქანებისა და სანაგვე ურნების შესაძენად აღებული სესხის დაფარვას, დაიწყება ორი წლის შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტისათვის სრულიად შესაძლებელია.

დიტო კვიციანიძე – საკრებულოს დეპუტატი

1. 2017 წლის ბიუჯეტში ძირითადი პრიორიტეტები სწორად არის განსაზღვრული, კერძოდ: გათვლილია თანხები ადგილობრივი გზების რეაბილიტაციისათვის; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისთვის; ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის კერების კეთილმოწყობისათვის; სპორტის განვითარების კუთხით კონკრეტული პროექტებისა და პროგრამების აქტიური ფინანსური მხარდაჭერისთვის.

2. საკრებულოს სხდომაზე აღინიშნა, რომ ახალი ბიუჯეტი მხოლოდ 9-10 თვეზეა განეროლი, მიუხედავად ამისა, ეს პრობლემებს ვერ შექმნის, რადგან გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და შემოსავლების მოზიდვება, რაც ალარ გამოიწვევს დეფიციტს ბიუჯეტში.

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს საკრებულომ თანხმობა მისცა ნაგვის გადამზიდი 2 მანქანისა და 125 სანაგვე ურნის შეძენისათვის სესხის აღებაზე. აღნიშნული მანქანები მოეხმარება არა მხოლოდ ქალაქს, არამედ მაღალმთიან სოფლებსაც, სანაგვე ურნებიც დაიდგება სოფლებში, რაც ხელს შეუწყობს სოფლების დასუფთავებას.

თორნიკე გაჩეჩილაძე – საკრებულოს დეპუტატი

2014 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გავხდი, 2014 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იყო და მისი დიდი ნაწილი დახარჯული იყო. 2014 წლის დეკემბერში დავაშტეტე 2015 წლის ბიუჯეტი, რომელიც ნაცვლად 14-15 თვიანი სახელფასო ფონდისა (2-3 ჯერ გათვალისწინებული იყო ხოლმე პრემიები) იყო 12-თვიანი სახელფასო ფონდი. 2014 წლიდან დღემდე ბაღდათის მუნიციპალიტეტში, გარდა სკოლამდელი საღამომდელი დაწესებულების არ გაცივებულია არც პრემია და არც დანამატი.

მუნიციპალიტეტში პრემიების არ გაცემა საკმაოდ მტკივნეული თემა გახდა, რადგან დასაქმებული ელიტა მიჩვეული იყო წელი-

წაღში 2-ჯერ პრემიის მიღებას. ბაღდათი იყო ერთადერთი თვითმმართველობა, რომელსაც 2014 წლიდან პრემიის და სხვა სახელით შენიღბულად არცერთი თეთრი არ დაუხარჯია.

საკრებულოს ფინანსთა მინისტრის მონოგრაფი, 10% სახელფასო ფონდის შემცირების შესახებ არის, რბილად რომ ვთქვათ, საკითხისადმი არაკომპეტენტური დამოკიდებულება და სხვა არაფერი. არ შეიძლება ყველა მუნიციპალიტეტის ერთ ქვაში ჩაყრა და ყველასთვის 10% ან 8%-იანი შემცირების მოთხოვნა.

მაგალითად, თუ რომელიმე მუნიციპალიტეტმა გასულ 2015 წელს პრემია გასცა 2-ჯერ, 2016-ში გასცა ერთხელ და ის 10%-იანი შემცირება პრემიების მეორედ არგაცივით გადაიფარა.

ჩვენთან მუნიციპალიტეტს, რომელსაც 2015 წელს არ ჰქონდა განაცემი პრემია, ასევე არ გაუცია და ვერც გაეცა 2016 წელს, 2017-ში ან დასაქმებულებს უნდა შეუმციროთ ხელფასი 10%-ით ან უნდა გავუშვათ დასაქმებულების ნაწილი.

ახლა გადავიდეთ მთავარზე, სად არის სამართალი?

ვინ არის დღეს მუნიციპალიტეტში ისეთი, ვინც პრემიერს ანდა ფინანსთა მინისტრს ეტყვის, რომ არსებობს მუნიციპალიტეტი, რომელსაც 3 წლის მანძილზე არ უხარჯია ზედმეტი თანხები ბიუროკრატიაზე და ეს ეკონომიები იმათგან უნდა ამოიღონ, ვინც პრემია 2-ჯერ და 3-ჯერაც კი გასცა.

2015 წელს პრემიების არგაცივის ერთ-ერთი აქტიური მომხრე მე ვიყავი, რადგან ვთვლიდი, რომ ვიდრე ბაღებში 80 და 160 ლარზე ვაშუშავებთ ადამიანებს, არ დაუჭირ მხარს პრემიების იმ ადამიანებისთვის დარიგებას, ვისაც ხელფასი 300-დან 1000-ლარამდე აქვთ.

დღეს მინდა სრული პასუხისმგებლობით განვახატავ, რომ არ დაუჭირ მხარს არც ერთი ადამიანის სახლში გაშვებას. ჩვენთან კვეყანაში, სადაც დასაქმებული ადამიანიც კი სოციალურად დაუცველ ადამიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ, არავის სახლში გაშვებას არ დავეთანხმები.

რაც შეეხება 2017 წლის ბიუჯეტს, ის 4,7 მილიონ ლარზე დაიგეგმა და ცვლილებების შემდეგ 6 მილიონს გადააჭარბა, წლის ბოლომდე 11 მილიონს მიუახლოვდება, ასე რომ, დეფიციტი უპრობლემოდ შეივსება, მთავარია, პოლიტიკური ნება. ჩვენ გვექნე-

ბა ბიუჯეტის ოპტიმიზაცია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბიუჯეტის ოპტიმიზაცია იქნება პრიორიტეტულად კადრების შემცირების მიმართულებით. ბიუჯეტის ოპტიმიზაცია არ ნიშნავს კადრების შემცირებას. ყოველთვის ვუფროსილდებოდით სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებს, ისედაც ვცდილობდით, რომ ეკონომიურად დაგვეხარჯა, ასე რომ, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც შევძლებთ ოპტიმიზაციას ისე, რომ მტკივნეული გადაწყვეტილებები არ მივიღოთ, ვგულისხმობ, საჯარო სამსახურებში შემცირებებს.

ანჯელინა ჭავჭავაძე – საკრებულოს დეპუტატი

1. 2017 წლის ბიუჯეტი რომ პრობლემატურია, ნათლად ცხადყოფს მთელი რიგი გარემოებანი, რომელთაგან გამოვიყოფ: 1) 2016 წელთან შედარებით დაახლოებით 500 ათასი ლარით არის შემცირებული მიმდინარე წლის ბიუჯეტი. 2) 2016 წლიდან 2017 წლის ბიუჯეტში ნაშთის სახით გადმოვიდა 1589,6 ათასი ლარი. ეს ფაქტი მიანიშნებს, რომ გამგეობის გარკვეულმა განყოფილებებმა ჯეროვნად ვერ იმუშავეს. თუ ამ ტენდენციით გაგრძელდა მუშაობა, ვფიქრობ, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდა ნაკლებადაა სავარაუდო.

2. 2017 წლის ბიუჯეტი 9-10 თვეზეა განეროლი. მე დიდი ეკონომისტი არ ვარ, მაგრამ, როგორც ვიცი, დარჩენილ ბოლო ორ თვეზე საფინანსო განყოფილება, დეპუტატების თანახმად, 10 თვის საერთო ჯამის 10-12%-ზე მეტს ვერ გასცემს, რომლის უზრუნველსაყოფად რჩება ორი გზა: 1) ქაშაობის შემოჭრა (ხელისუფლების ტერმინით), რაც ნიშნავს, რომ ხელფასების სარგოები შემცირდეს 10%-მდე და 2) რესტრუქტურული ოპტიმიზაცია (თანამშრომელთა განთავისუფლება, განყოფილებათა გადაჯგუფება). მუნიციპალიტეტის გამგეობა რომელს აირჩევს ეს გამგეობის გადასახვეტი პრობლემა. ჩემი აზრით, არც ერთი და არც მეორე არ არის სასურველი. თუ სხვა, ოპტიმალური გზა გამოინახება, მივესალმები.

3. მიუხედავად იმისა, რომ ვალი არასასურველია, მით უფრო ბანკის სესხი, მაგრამ ამ თანხით შეძენილი ტექნიკა, პერსპექტივაში, თუკი ემსახურება ეკონომიკურ ზრდას, ჩემი აზრით, ასეთ ვალს გამართლება აქვს. სწორედ ამ ნიშნით დაეუჭირე მხარი საკრებულოს სხდომაზე ტექნიკის შეძენის საკითხს.

ინტერვიუ

გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს პარლამენტის ბაღდათი-ხარაგაულის №51 ოლქის მაჟორიტარ დეპუტატთან, ბატონ კობა ლურსმანაშვილთან



– ბაღდათში ამაჟამად არ ფუნქციონირებს დეპუტატის ბიურო, როდის და როგორ გემათ ბიუროს თანამშრომლების შერჩევას?

– ბაღდათი-ხარაგაულის №51-ე ოლქში, ამ ეტაპზე ხარაგაულში, ფუნქციონირებს დეპუტატის ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობს ოთარ ლურსმანაშვილი. ბაღდათის მუნიციპალიტეტსა და ზესტაფონის (№51-ე ოლქში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფელიც შედის) მიმართულებით იწყება ბიუროს თანამშრომლებით დაკომპლექტება. ჩემი შეხედულებით, ბიუროს თანამშრომელს მინიმუმ საჯარო მოხელის თვისებები უნდა ჰქონდეს, უნდა აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რასაც სპეციალისტი – საჯარო სამსახურში (გამოც-

ვარ და ვიქნები თქვენს გვერდით

დაჩაბარებული). ბიუროს თანამშრომელი უნდა იყოს ისეთი ადამიანი, რომელსაც საზოგადოებასთან ურთიერთობა შეუძლია და, რაც მთავარია, იყოს მონდომებული და მოტივირებული. შეეძლოს დამოუკიდებლად აზროვნება, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, ადგილობრივ თვითმმართველობასთან ურთიერთობა. დეპუტატის ბიუროს თანამშრომელი პარლამენტის აპარატის თანამშრომელად ითვლება, ხელშეკრულება პარლამენტთან ფორმდება და ხომ არ შეიძლება ისეთი პროცედურის დანიშვნა, რომელსაც არ შეეძლება საზოგადოებასთან ურთიერთობა? როდესაც მოსახლეობას ვხვდებოდი, ვპირდებოდი, რომ მათ გვერდში დავუდგები როგორც ოჯახის წევრი. პირდაპირი ფორმით იქნება ეს თუ სამართლებრივი კონსულტაცია დასჭირდებათ, გაჭირვების, სამსახურიდან გათავისუფლების თუ სხვადასხვა კრიზისული მდგომარეობის დროს მათ უფლებებს დავიცავ. ცხადია, ბიუროც ამ კუთხით იმუშავებს. მეორე მიმართულება გვექნება – ადგილობრივ თვითმმართველობასთან მჭიდრო კონტაქტში გადავწყვიტოთ ზოგადი პრობლემები. გამგეობასა და საკრებულოსთან ჩვენი ურთიერთობა უნდა იყოს მონესრიგებული, რადგანაც ჩვენი ძალისხმევა მთლიანად მოვახმართ ბაღდათის ხვალისდელ უკეთეს დღეს. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტში კარგი და დადებითი მუხტია ახლადდანიშნული გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, ბატონ არჩილ გოგასძის მიმართ. მას თამამად შემიძლია მადლობა გადავუხადო, რომ ბაღდათს თავი კარგად წარუდგინა და ამ მოკლე დროში,

იმ გადადგმული ნაბიჯებისთვის, რომელიც პოზიტიურად ითვლება ჩემი გადასახედიდან. სწორედ ასეთი მოლოდინი ჰქონდათ ბაღდათელებს. ჩვენ ამ თანამდებობებზე არჩეით თუ დანიშნით მხოლოდ და მხოლოდ ერთი მოვალეობა გვაკისრია – ვემსახუროთ ხალხს, მაგრამ არა ისე, როგორც წარსულში იყო და თანამდებობის პირები ხალხზე ბატონობდნენ. ეს დრო ისტორიას ჩაბარდა. სწორედ ამისთვის გვჭირდება კვალიფიციური კადრები, რომლებსაც გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ხალხის სამსახურში მოდიან.

– როგორი იქნება თქვენი სამუშაო გრაფიკი ბაღდათის მუნიციპალიტეტში?

– ყოველი წლის ბოლოს მოსახლეობას ჩავაბარებ ანგარიშს. გარდა ამისა, მექნება სოფლებში გასვლითი შეხვედრები და შევეცდები მოსახლეობას ადგილზე ამომწურავი პასუხები გავცე. ბაღდათელებს ჩემთან კომუნიკაციის პრობლემა არ უნდა ჰქონდეთ, რადგან საარჩევნო პერიოდში ყველაგან დავტოვებ ტელეფონის ნომერი, რომელსაც ვპასუხობ. ვთქვათ, საკრავიდან და ზეგნიდან მოქალაქეს რომ არ დაჭირდეს ჩამოსვლა დეპუტატის ბიუროში, მას შეუძლია ტელეფონზე დამირეკოს ან დაუკავშირდეს ბიუროს თანამშრომელს. რამდენიმე კვირის წინ მქონდა სატელეფონო საუბარი სოფელ ხანის მოსახლეობასთან. მათი მხრიდან მე-საუბრა რამდენიმე მოქალაქე, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ უნდა ჩამოსულიყვნენ ბაღდათში და გამოეცხადებინათ პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ ხანს არ აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი მინიჭებული. მათ ავუსხენი, რომ ამის საჭიროება არ

არის, რადგან თვითონვე ვარ დაინტერესებული ეს პრობლემა მოგვარდეს და, გამომდინარე აქედან, უახლოეს ხანში, როდესაც დაიკომპლექტება მთის საბჭო, რომელმაც უნდა განსაზღვროს ამ სტატუსის მიმართულებით მუშაობა და გადაწყვეტილებები მიიღოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, აქტიურად ვიმუშავებ მათთან. რა საჭიროა მოქალაქეებმა თავი გაინვალონ, მე ხომ იმისთვის ამირჩიეს, რომ ეს გავაკეთო, ამას ვაკეთებ კიდევ, ყურადღებას არ ვაკლებ და სხვათაშორის დარწმუნებული ვარ, რომ ხანს მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მოპოვებაში საკმაოდ დიდი პერსპექტივები აქვს. ვიმედოვნებ, ამას მივალწვე. ჩვენ ვიბრძობებთ, რომ ის ხარვეზები, რის გამოც ხანმა ვერ მოიპოვა მაღალმთიანი სოფლის სტატუსი, გასწორდეს.

– რა ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტში?

– ყველანაირი პრობლემაა. დღესაც მქონდა შეხვედრა ერთ მოქალაქესთან, რომელსაც ონლაინ სესხებთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. ამაზე ცოტა ხნის წინ ჩვენი ოპონენტები გვაკრიტიკებდნენ, რომ ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს ამ საკითხში. სესხს, რომელსაც მოქალაქე იღებს, ხომ არ შეიძლება ჰქონდეს რაღაც ზღვარი, ხომ არ შეიძლება ეს გამოსული იყოს ყოველგვარი გონივრული დამოკიდებულებიდან. 600 %-იანი, 800%-იანი და 1200%-იანი მოგებები აქვთ სესხის გამცემ ორგანიზაციებს, რის გამოც ხდება ადამიანების ქონების გაყიდვა-დაყადება. ჩვენ

დასაწყისი მე-2 მპ.

ვიმსჯელებთ ამაზე და დადგინდა ზღვარი რა პროცენტით შეიძლება არსებობდეს სესხის ონლაინ გაცემა. საბანკო სექტორი კი ბევრად უფრო მონერგებულია ჩვენთან, თუმცა იქაც ადამიანებს მეტი შესაძლებლობა უნდა გააჩნდეთ, მეტი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ საბანკო კრედიტებზე. ჩვენმა ხელისუფლებამ გადადგა პოლიტიკური ნაბიჯი და 65 მილიონი გავითვალისწინეთ ბიუჯეტში, რითაც მსესხებლებს დავეხმარებით და მოხდება დოლარში აღებული სესხის გადატანა ლარებში. თანხის გარკვეულ რაოდენობას სახელმწიფო დაფარავს. ჩვენი სახელმწიფო და ხელისუფლება დღეს მოქალაქის გვერდით დგას.

– დღეს სოციალურად დაუცველ ბევრ ოჯახს მოხსნა დახმარება. თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.

– სრულიად ვიზირებ იმ მოსახლეობის გაბრაზებას და აღშფოთებას, ვინც თვლის, რომ ამ მიმართულებით დღემდე ვერ მოხერხდა გამჭვირვალე და მათთვის კარგად ახსნილი ფორმის მოფიქრება, ადამიანებს აღარ უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ ჩემი მეზობელი ჩემზე უკეთესად ცხოვრობს და იღებს სოციალურ შემწეობას, მე – უარეს მდგომარეობაში მყოფი, ვერ ვიღებ – ეს უნდა მოისპოს. ამასთან დაკავშირებით არაერთხელ გვისაუბრია და კვლავ ვიქნებით უფრო აქტიურები, შესაბამისად, სააგენტოსაც უნდა ვესაუბროთ ამაზე. მე პირადად სამინისტროსაც ვთხოვდი ამ საკითხში მაქსიმალურად ჩართოს ადგილობრივი თვითმმართველობა. სოფლის წარმომადგენლებმა უკეთ იციან, ვინ როგორ ცხოვრობს სოფელში. ამ საკითხში სწორედ ადგილობრივი ხელისუფლება იქნება პასუხისმგებლობით აღჭურვილი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს სოფელში ყველაზე გაჭირვებულ სემინტს და ამ სივრცეებზე იქნება პასუხისმგებელი.

– ბატონო არჩილ გოგასაძესთან გქონდათ შეხვედრა. რა საკითხები განიხილეთ?

– შეხვედრაზე ჩვენ ვისაუბრეთ მიმდინარე პროექტებზე, ხედვებზე, იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომლებიც წლების მანძილზე დაგროვდა ბაღდათის მუნიციპალიტეტში. მათ შორის ჩვენ ვახსენეთ: გზების ინფრასტრუქტურა, წყლის ინფრასტრუქტურა, ბინების ხელშეწყობა დასაქმების თვალსაზრისით და სოციალური მიმართულებით არსებული პრობლემები. ჩვენ შეხვედრები და კომუნიკაცია ყოველთვის გვაქვს და გვექნება მომავალშიც. ეს შეიძლება იყოს გამგებლის სამუშაო ფორმატში ჩემი ჩართულობით, სატელეფონო კომუნიკაციით. დღევანდელ შეხვედრაზე ვისაუბრეთ ხანისთვის მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მინიჭების შესახებ. დეპუტატი თავის შუამდგომლობას და წარდგინებას აკეთებს, მაგრამ ის პროცედურები, რაც გასაკეთებელია, თვითმმართველობამ უნდა გააკეთოს. გამორიცხულია ამ საკითხში ადგილობრივი თვითმმართველობა არ იყოს ჩართული და არის კიდევაც ეს ჩართულობა. გარდა ამისა, ჩვენ ვისაუბრეთ სხვა მიმდინარე საკითხებზე: იმ პარამეტრებზე, რომლებიც დღეს მოქმედებს დაგეგმილი ბიუჯეტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის დამატებითი შემოსავლების შესახებ, თუ რა გზით უნდა მიიღოს მუნიციპალიტეტმა დამატებითი შემოსავალი, რომ სხვადასხვა პროგრამაში დაიხარჯოს თანხები. ჩემი და ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთობა არის პოზიტიური, ვალდებულად ვთვლით თავს, რომ ერთმანეთს გვერდით ვედგით, ვინაიდან ჩვენ ვართ ხალხის ხელისუფლება და ისინი ჩვენგან მოითხოვენ, რაც შეიძლება პროდუქტიულები ვიყოთ, ხალხის ინტერესებით უნდა ვიყოთ შემოფარგლული და ჩვენ მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ორიენტირებული უნდა იყოს ბაღდათის კეთილდღეობაზე, მის უკეთეს მომავალზე, მოქალაქეების მდგომარეობის შემსუბუქებაზე, გამოსწორებაზე ან უკეთესის შეთავაზებაზე.

– ბატონო კობა, ქვეყნის მასშტაბით, მუ-

ნიციპალიტეტებში რეორგანიზაცია დაიწყო. ბაღდათში რამდენად განვითარდება ეს პროცესი და რა იგეგმება ზოგადად?

– რეორგანიზაციას ვერცერთი მუნიციპალიტეტი ვერ აცდებდა, რადგან ზოგადად ხელისუფლებამ უკვე ღიადა განაცხადა, რომ უნდა მოხდეს 10%-ის ფარგლებში შეზღუდვა, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება, ამაში არ მოიაზრება მხოლოდ მანქანა და სანავი, ვინაიდან ეს მინიმუმამდე იყო დაყვანილი. არ მოიაზრება მხოლოდ პრემია და დანამატი, რადგან ეს ჩვენს ხელისუფლებაში აღარ ხდება, თუმცა ცდილობდნენ, რომ ასე წარმოეჩინათ. შემოდია რამდენიმე მუნიციპალიტეტის მაგალითზე, თუნდაც პარლამენტში, ჩემს ოპონენტებს



წარუდგინო როგორი იყო რეალური მდგომარეობა, რამდენი გაიცემოდა პრემიები მუნიციპალიტეტებში მათი ხელისუფლების დროს და როგორ მოიკლო შემდეგ წლებში. მაგ; ხარაგაულში 207 ათასიდან, რომელიც გაიცა 2012 წელს მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ჩვენ ჩამოვედით თითქმის 20 ათას ლარზე და, როგორც ვიცი, წელს საერთოდ აღარ არის ჩადებული საპრემიო და დანამატის ფონდი, თუმცა, ჩემი აზრით, ეს არასწორია. წახალისებისა და მოტივაციის ამალღებისთვის, თუნდაც დამატებითი სამუშაოს შესრულებისთვის ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს საშუალება დასაქმებულს დამატებითი სამუშაოს შესრულებისთვის გადაუხადოს დამატებითი თანხა. რეორგანიზაცია თუ დაიგეგმება და განხორციელდება, მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებისკენ, არამედ, იმ კუთხითაც უნდა იყოს მიმართული, რომ, რაც შეიძლება მეტად პოზიტიური ადამიანები გამოვლინდნენ, რომლებმაც თავიანთი მუშაობით დაიმსახურეს მოქალაქეების კმაყოფილება და ნდობის მაღალი ხარისხი. წინასაარჩევნოდ არაერთხელ ვუთხარი ბაღდათის, ხარაგაულისა და ზესტაფონის მოსახლეობას, რომ პირადად ვიქნებოდი გარანტი, რომ ვინც არ სარგებლობს ავტორიტეტით, ვისაც არა აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და ასეთ ადამიანებს უკმაყოფილო საზოგადოება უცხადებს უნდობლობას, არ ექნება ადგილი საჯარო სამსახურში. ჩვენ ორიენტირებულნი ვართ ისევ და ისევ საზოგადოების მოთხოვნილებაზე. დანაწევლი, დასაწყები თუ განსახორციელებელი რეორგანიზაცია ამ მოთხოვნილებებიდან გამომდინარე იქნება. ძნელია აიპების დონეზე ამდენი თანამშრომლის დათხოვნა. არაერთხელ თქმულა, რომელი უფრო სიკეთეა, ბიუჯეტიდან იკვეთებოდნენ ადამიანები, რომლებსაც სხვაგან წასასვლელი არა აქვთ, თუ ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლებთ ამ ვალდებულებებისგან და უფრო მოზილური, მცირერიცხოვანი აიპები გვექონდეს და მაღალხარისხიანი საქმე კეთდებოდეს. პირადად ჩემთვის, ძნელი გადასაწყვეტია. როგორც სასწორს აქვს ორი მხარე, აქაც ასევეა — სამსახურიდან გაშვებული თანამშრომელი ქუჩაში რჩება და მას შეიძლება სხვა საშუალება არ ჰქონდეს თავის რჩენისა და ოჯახის შენახვის. ეს ისევ სახელმწიფოს პრობლემა ხდება და, თუ ის ფუფუნებაში არ

ცხოვრობს, შეიძლება სოციალური შემწეობის მიმღებთა რიგში აღმოჩნდეს. თუ სამსახურიდან გაუშვებ, მაგრამ იძულებული გახდები დახმარება მისცე, ამით რა შეიცვლება. ამიტომ, ამ ყოველივეს დაკვირვება და დაფიქრება ჭირდება. და, რაც მთავარია, პირველ რიგში გასაშვებთა სიაში უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს. არ არის სავალდებულო, რომ ასეთი ადამიანები აიპ-ში ან საჯარო სამსახურში შევიწახოთ. ჩვენ უნდა დავეგეგმოთ და მათ სხვა გზა მოვუწოდოთ იმიტომ, რომ ეს ყველაფერი გვაზარალებს როგორც მუნიციპალურ, ისე ქვეყნის დონეზე. ამ ადამიანებს ხელი კი არ უნდა ვკრათ, უნდა მოვუძებნოთ სხვა საარსებო

როგატივია. მიმაჩნია, რომ აქ დეპუტატი არ უნდა ეროდეს და ცხადია, არც ჩაერევა. თუ ადამიანები ჩათვლიან, რომ რეორგანიზაციის პროცესში მათი უფლებები დაირღვა და მომმართავენ, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, როგორც დეპუტატი, ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში ვიმოქმედებ. როგორც ადამიანის უფლებების კომიტეტის წევრი, ვალდებული ვარ, რომ მათ გვერდით დავუდგე და გავარკვიო, სუბიექტური განწყვეტილებით მოხდა მათი დათხოვნა, თუ ობიექტურად. ბევრი მიზეზი არსებობს, რომ ადამიანები საჯარო სამსახურში არ უნდა მუშაობდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვაგან არ გამოგვადგებიან.

თუ ვხედავთ, რომ სამსახურის უფროსი ვერ ფლობს იმ უნარებს, რასაც უნდა ფლობდეს სპეციალისტი, ამას არ უნდა რეორგანიზაცია, ის ისედაც უნდა გაუშვას. ერთხელ და ორჯერ დავალებას ვერ შეასრულებს, მიიღებს შენიშვნას და წავა სახლში. რეორგანიზაცია უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ გაუშვან ნაკლები კვალიფიკაციის მქონე ადამიანები და მოიყვანონ უკეთესი კვალიფიკაციის მქონენი. ხოლო თუ დანაწევრების და ახალი განლაგების თემატიკაა, აქ, რა თქმა უნდა, თავიდან ბოლომდე ხელმძღვანელ პირებს დამოკიდებული როგორ განალაგებს მათ. თუ კარგად გამოიყენებს მათ შესაძლებლობებს, იქნება მოზილური, მცოდნე გუნდი, შედეგიც კარგი იქნება. ასეთ შემთხვევაში უხერხულში არ ჩავარდება ხელმძღვანელი პირი და გუნდური პრინციპით წარმატებას ერთად მიიღწევენ. თუ არ არის გუნდურობა, ცოდნა, განათლება, კვალიფიკაცია, მუნიციპალიტეტი იქნება მაჩანჩალა, ვერ გაართმევს თავს გამონვევებს. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოების უკმაყოფილება იქნება გამგებლის, საკრებულოს თავმჯდომარისა და სხვადასხვა ხელმძღვანელი პირების მიმართ, მათ შორის, დეპუტატის მიმართაც.

ბოლოს მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო ბაღდათელებს. დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოვხატო მათ მიმართ. ბაღდათი არის ერთ-ერთი განსაკუთრებული და გამორჩეული მუნიციპალიტეტი, სადაც პატიოსნებით, თავისი შრომით თავის ქვეყანაზე შეყვარებული ხალხი ცხოვრობს. მინდა, მათ ვუსურვო ყოველივე კარგი და ვუსურვო გამართლებოდეთ იმედი იმ არჩევანში, რომელიც დეპუტატის მიმართ გამოხატეს, იმ არჩევანში, რომელსაც გამოხატავენ უახლოეს მომავალში ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ და ვუთხრა მათ პირდაპირ, როგორც ყოველთვის გეუბნებოდით, რომ ვიქნები ყოველთვის თქვენ გვერდით, ვიმეორებ იმავეს – ვიქნები თქვენს გვერდით, ვარ თქვენს გვერდით და ყველა თქვენი პრობლემის მოგვარებაზე ვიზრუნებ.

**ანა ქორიძე
მარიამ ოქროქელიძე**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2017 წლის პროგრამით სამკურნალო და საოპერაციო თანხების ანაზღაურებას არ ექვემდებარება შემდეგი დაავადებები:

- პლასტიკური და ესთეტიკური სახის მკურნალობა.
- სანატორიულ-კურორტული მკურნალობა და მასაჟი, გამონაკლისს წარმოადგენს ბავშვთა ცერებრალური დამბლით დაავადებული 0-18 წლამდე შ.შ.მ. პირები
- ტონილო და ადენოექტომია.
- ნარკოტიკული და ალკოჰოლური ზემოქმედებით გამოწვეული სამედიცინო მომსახურება.
- ვენერიული დაავადებებით გამოწვეული სამედიცინო მომსახურება.
- თვითდაზიანებით (სუიციდი) ან ტერორისტულ აქტებში მონაწილეობით გამოწვეული სამედიცინო მომსახურება.
- ორსულობის შემთხვევაში, სამედიცინო აღრიცხვაზე დაგვიანების გამო დაწესებული სამედიცინო გამოკვლევების ხარჯები. მშობიარობის ხარჯები გამოწვეული ექიმის და სამშობიარო სახლის შერჩევის გამო.
- პაციენტის მიერ წინასწარ გადახდილი სამედიცინო მომსახურების ხარჯები განმეორებით დაფინანსებას არ ექვემდებარება.

სახალხო ქობილა



დიდთოვლობამ ბაღდათის მუნიციპალიტეტში პრობლემები კი შექმნა, მაგრამ მობილიზებული ტექნიკის საშუალებით დღე-ღამის განმავლობაში ინმინდება ქ. ბაღდათის შიდასაქალაქო და მუნიციპალიტეტის სოფლების შიდასაუბნო გზები. საგზაო მოძრაობა არ შეფერხებულა ქუთაისის, ზესტაფონის, ნითელხევის, როხის, ვარციხის, ზეგანის, საკრაულასა და ხანის მიმართულებით. რამდენიმე სოფელს შეუწყდა ელექტროენერგიით მომარაგება, თუმცა „ენერგო პრო-ჯორჯიას“ სპეციალისტების ძალისხმევით, დაზიანებულ უბნებზე აღდგენითი სამუშაოები დროულად ჩატარდა. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ გოგასაძე და საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ მაჩიტაძე 24-საათიან რეჟიმში ხელმძღვანელობენ დიდთოვლობით გამოწვეული პრობლემის აღმოფხვრისათვის განეული სამუშაოების მიმდინარეობას.

24 იანვარს, საქველმოქმედო ორგანიზაცია „ჩეხოს სახლის“ დამფუძნებლის ნინო ჩეხოშვილის ორგანიზებით, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ლიტერატურულ დარბაზში გაიმართა მწერალ ცირა ყურაშვილის ნოველების კრებულის - „უამსა თამაშობისასა“ და წერილებისა და ესეების კრებულის - „ვინ გაიტანს თევზებს?!“ პრეზენტაცია. ღონისძიებას ბაღდათის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და ადგილობრივებთან ერთად ესწრებოდნენ სტუმრები (შოთა იათაშვილი, ნინო სადღობელაშვილი, მარიამ ნიკლაური, ზვიად კვარაცხელია, გიორგი კაკაბაძე, შორენა ლებანიძე, დათო არახამია, გია არგანაშვილი, ნინო სალუქვაძე, ნატა ვარადა, ლუკა ბაქანიძე, გიორგი შონია, სოსო მესველიანი, მანონ ბულისკირია, გაგა ნახუცრიშვილი, გოჩა სხილაძე, გივი ჩაღვინაძე). მათ სიტყვით გამოცვლისას დადებითად შეაფასეს როგორც ეს წიგნი, ისე ცირა ყურაშვილის შემოქმედება.



29 დეკემბერს ბაღდათის რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა ა.ა.ი.პ. ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ფონდის წლის შემაჯამებელი კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

30 დეკემბერს ბაღდათის რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა – დათუნა სირბილაძისა და ანსამბლ „მედიკაცას“ კონცერტი. ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

1 იანვარს ბაღდათის კულტურის ცენტრში ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ფონდთან არსებულმა საბავშვო თეატრ-სტუდია „ირიდამ“ საბავშვო მიუზიკლი „კონკია“ წარმოადგინა.

7 იანვარს ბაღდათის საკათედრო ტაძარში ვანი-ბაღდათის ეპარქიის წინამძღოლმა, მეუფე ანტონმა საზეიმო საშობაო წირვა აღავლინა. წირვის დასრულების შემდეგ მღვდელმსახურებმა, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ გოგასაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ გრიგოლ მაჩიტაძემ მრევლთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ტრადიციულ „ალილოს“ მსვლელობაში.

14 იანვარს რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრში ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით მოწვეულმა საჩხერის სახალხო თეატრმა მაცურებელს სპექტაკლი – „ფერადი ბუმბუტები“, წარუდგინა. სპექტაკლს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.




ბნბ-რეკლი



საინტერესო წიგნი ბალდათის რაიონის მთის სოფლების გაოგრაფიულ სახელწოდებაზე

გთავაზობთ ისტორიის დოქტორის იგორ კვეციას რეცენზიას ზურაბ თოლორდავას ნიგნის – „ბალდათის მთის სოფლების ტოპონიმია“ – შესახებ. აღნიშნული რეცენზია ბატონმა იგორმა „ჩემი გაზეთი“-ს რედაქციას გამოუგზავნა გამოსაქვეყნებლად. საგაზეთო ფორმატის სიმცირის გამო, რეცენზია იბეჭდება მცირედენი შემოკლებით.



ბალდათის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ბატონი ზურაბ თოლორდავა დიდი ხანია აღწუსაგვს და იკვლევს მშობლიური რაიონის ტოპონიმებს. კვლევის პირველი შედეგები ჯერ კიდევ 2002 წელს გამოცემული ბროშურის სახით იხილა საკითხით დაინტერესებულმა სპეციალისტმა თუ ფართო მკითხველმა საზოგადოებამ. „ზეკარის ხეობის ტოპონიმია“, – ასე ჰქვია ამ ფრიად საჭირო და საგულისხმო ნაშრომს. კვლევის შემდგომი შედეგები, კერძოდ, ბალდათის რაიონის (ამჟამად მუნიციპალიტეტის) მთის სოფლების – ხანის, ალისმერეთის, წყალთაშის, დაფენილის, ნერგეთის, ზეგნის, საკრაულის, აგრეთვე ლაშურის, სქურის, ხანისწყლისა და ნაბლარასწყლის ხეობების მთიანი ნაწილის 850-ზე მეტი გეოგრაფიული სახელწოდება, შესაბამისი მოტივაციური მსჯელობებით, ზ. თოლორდავამ 2014 წელს წიგნად გამოსცა („ბალდათის მთის სოფლების ტოპონიმია“).

ავტორი ტოპონიმის ზოგად და თეორიულ საკითხებში კარგად ჩახედული მკვლევარი რომ არის, ეს ნათლად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ სარეცენზიო წიგნში თავმოყრილი გეოგრაფიულ სახელწოდებებს ხშირ შემთხვევაში ახლავს ლოკალიზაცია (ზუსტი გეოგრაფიული მიმართულება), რაც აუცილებელი პირობაა ტოპონიმთა ენობრივი და გარეენობრივი ანალიზისათვის. თქმულის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიხმობთ „ბალდათის მთის სოფლების ტოპონიმია“: ლეკის ქალა – ქვ. ზეგნიდან ნასოფლარ კორინისაკენ მიმავალი გზა (გვ. 45); ნაშუების ლელე – ლელე; მდ. საკრაულს მარცხენა შენაკადი (გვ. 46); სვირის წვერი – მთა. ზედა ზეგნისა და სოფ. მეორე სვირის (ზეგნის მთის მუნიციპ.) მთაგამყოფი (ზედა ზეგანი) (გვ. 48); ყინვა გორა – მილახურისკენ მიმავალი გზის მონაკვეთი (ქვ. ზეგანი) (გვ. 49); კინკლეეთი – ტყიანი, ვაკე ადგილები და ნასოფლარი ლაშურის ხეობაში (გვ. 54); მოგვერგვილი – მდ. საკრაულის მონაკვეთი, მცირე კანიონი, სადაც მდინარე მცირე მონაკვეთზე რამდენჯერმე უხვევს (გვ. 55) და სხვ. მრ.

წიგნის რედაქტორის – ნუგზარ კუჭუხიძის სახეობითი ზუსტი შეფასებით, ნაშრომს მკვლევრის მეცნიერულ ჟინთან ერთად

აშკარად ეტყობა მშობლიური მხარის სიყვარული და საქმისადმი ერთუზიანობა. „ტოპონიმებისადმი ემოციური დამოკიდებულება არა მარტო მკვლევარებს, არამედ რიგით ადამიანებსაც ძალუმად მოიცავს. თითქოს რალაც ამოუცნობ სიხალისეს, ალტაცებასა და ზოგჯერ სევდასაც კი ინვესტებს ესა თუ ის ტოპონიმი და მასთან დაკავშირებული ისტორიული, ყოფითი ან სოციალური მოვლენები და ფაქტები. მჯერა, არააინ გახდის საკამათოდ იმ აზრს, რომ კარგი იქნებოდა, გვექონდა საქართველოს ყოველი რაიონის ტოპონიმთა ამგვარივე წიგნი. ეს ნაშრომი არა მარტო გულანთებულ პატრიოტებს გაახარებს, არამედ გლობალიზაციით ტყინამღვრულ და ოკეანედალეულ გაუცხოებულ სნობებსაც არ დატოვებს გულგრილს“ (გვ. 4).

ჭკუმიერებო! აქ მხოლოდ იმას დავამატებდი, რომ ყველა რაიონს, ყველა კუთხეს ბატონ ზურაბ თოლორდავასწიგნი, ონომასტიკის პრობლემური საკითხების კვლევა-ძიებით დაინტერესებული თითო-ორი ენათმეცნიერი რომ ჰყავდეს, საქართველოში ონომასტიკური მასალის შედარებით სრული აღწერა-აღწერის მიმართულებით უკვე ბევრი რამ იქნებოდა გაკეთებული.

წიგნში თავმოყრილ მიკროტოპონიმთა ეტიმოლოგიაზე ავტორის დასკვნები ძირითადად მისაღები და გასაზიარებელია, თუმცა ონიმის წარმომავლობა, მისი თავდაპირველი (ონიმამდელი) მნიშვნელობის კვლევა ანუ ეტიმოლოგია, ამოსავალი ლექსემის (საზოგადოსი თუ საკუთარის) ფორმისა და მნიშვნელობის (შედლების-დაგვარად, ისტორიისა) დადგენა და სწორად გააზრება ზოგ შემთხვევაში საკმაოდ ჭირს. მაგალითად, ტოპონიმებს – **ადამეთის სერს, ბოგის, კლეხანარს, დიდგორს, ხრა-**

სორმონში, ტყეს ოჯოლაში, ლელეს კიროვი (ტყიბულის მუნიციპ.), ბარნელა კი ტყის სახელწოდებაა სოფ. თავასაში (თერჯოლის მუნიციპ.)...
წიგნში დამონებულ რამდენიმე მეგრული მიკროტოპონიმი (**დიდ რზენი** „დიდი ვაკე“, **ნაოხამი** „ნაელესიანი“, **პატარა ჩამფონია**, **ჩამფონია** (ჩამფა, ჩამქვა, ჩამჭვა „მალაღმლის ბოკვი“), **შქერონია** „შქერნალი“, **ცხინორი** „ცხილნარი“, **ხურგონია** „ხურგი, ხურგოლი; ზღვარი, მიჯნა“...), მაგრამ, ჩვენი აზრით საეჭვოა, ნაბლარის ხეობაში ნასოფლარის სახელწოდებად დამონებული „ასკაპურას“ მეგრულ-ზანურ სიტყვა „ნაცქაფურასთან“ დაკავშირება (გვ. 60).

ამასთანავე, სასურველი იყო ავტორის სოფლების, მდინარეებისა და მათი ხეობების სახელწოდებების წერისა და დაცვა „საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ მოცემული დანერგობა სახელის ფუძის ბრუნებისა (მაგალითად, ნათესაობით ბრუნვაში გვექნებოდა ლაშურის, წყალთაშის, საკრაულის...).

უნდა ითქვას, რომ აკად. ნიკო ბერძენივილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ნასოფლარების ისტორიის მეცნიერულ შესწავლას კომპლექსური მეთოდების გამოყენების გზით, ვინაიდან ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის სრულყოფილი ასახვა (ნ. ბერძენივილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. I, თბ., 1964, გვ. 178, 354). სარეცენზიო წიგნი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ბალდათის მუნიციპალიტეტის ნასოფლარებზე და დაინტერესებულ პირს დიდ დახმარებას გაუწევს ასეთი ნამოსახლარების ზუსტი სიებისა და ადგილმდებარეობის დადგენაში.

ბის საფუძველზე დარსდა ოსმალი უმუალოდ გაეშობლდა იმერეთის სამეფოს. იმერეთში მოტაცებული და ნაყიდი ტყვეების დიდი ნაწილი, კაკაბისადაც კერ მიაბრუნებდა ტყვეების დახმარებას. ამ მდგომარეობაში მათი გათავისუფლება უკვე უიმედო საქმე იყო. ასე რომ, ამ სამუხარო გარემოებით აიხსნება ილიოის მიწათმოქმედის კაკაბის მსაზღვრელი სიტყვა კაკაბის საკუთარი სახელი. ტოპონიმური სახეობის წარმოშობის სახელის კაკაბის ერთ-ერთი ფორმალური ვარიანტი უნდა იყოს. კაკაბის არის ნაწარმოები ქართული გერმანული კაკაბული. კაკაბული.

39. კაკაბული – ნასოფლარი მდ. ხანისწყლის ხეობაში სოფ. კაკაბის მდ. სახელით 1 კმ-ში. კაკაბული იმერეთში ძველი მდინარის ნაშთი და დღესაც გადებული ხის შორისაგან გამოიყოფა საცალ-ველი ხილი. შესაძლოა, ტოპონიმის სახელწოდებაც სწორედ აქედან მომდინარეობდეს.

40. კარკაბული – ნასახლი აბანოს ლლის ხეობაში.

41. გატნარი – სოფლის უბანი. (სოფ. ნერგეთი).

42. კილეეთი – ნასოფლარი. ფუძე სიტყვაა „ქალი“, ნაწარმოებია „ეთ“ სუფიქსის დართვით (მ/კალი – ხის ქალა).

43. კორში – ნასოფლარი. ამჟამად ხახვან და საძირკო. მდინარის სოფელ წყალთაშის ადმოსოფლით. სოფ. კორში სამ უბანად იყოფიდა: ზედა, ანუ ნაკვეთის კორში, შუა და ქვედა კორში. ამ სოფლის შუა და ქვედა უბნები მას შემდეგ გაჩნდა, როცა ზედა კორშიდან, რომელიც მაღალი მთაზეა, მოსახლეობა ქვემოთ, შედარებით ნაკლებად მთავარი და ვაკე ადგილებში ჩამოსახლდა. ჩამოსახლება მე-19 ს.ის 10-ანი წლებიდან მოხდებოდა, როცა იმერეთში ცხოვრება შედარებით უსაფრთხო გახდა და ფაქტურად შეწყდა თურქების ტარება. ამ სოფლით გადიოდა ზღვრის ხეობისაკენ მიმავალი გზა. სოფ. კორშიმ ძირითადად სამი გვარი სახლობდა: ქვედა, ჩიქვინი და გრძელი. 1944 წლის ნოემბერ-დეკემბერში კორშის მოსახლეობა მესხეთში გადასახლეს (საფრინისა და აბალიძის რაიონებში) და სოფელ ნასოფლარი გახდა. სოფელში ეკლესიაც ყოფილა, რომელიც ახლა დანგრეულია. ნაკვეთისა და საზოგადოებრივი სკოლა იქნებოდა. ზოგიერთ მათგანზე ჯერ კიდევ შეიძლება ბუფრითა და მხედრული მშენებლობით ეპიტაფების ამოკითხვა. სოფლის სახელწოდება კორში მიეწერება ძველ

ქართულ ადგილობრივ და დასავლურ დიალექტებში გაერკვეული სიტყვისაგან „კორ“ (კორა), ეს სიტყვა აღნიშნავდა მთის, მთიანი ადგილის, საგნის (ქვა, ბურთი, ურო, კერი), ადამიანის სხეულის ნაწილის (მუხოსთავი) სიტყვას. ამომრუგვლობა და, იმიტომ შემთხვევით, სიმცირის, სიდაბლის, ბადაღის მხარის ტოპონიმიაში ვაკეს კარ-ფონის სახელი, რომელსაც „ომ“ (მ) და „ეთ“ სუფიქსები აწარმოებდა („ომ“ (ზ) ზანურ-მეგრული აფიქსი და ქართული „ის“ ფორმანტის ფუნქცია). მაგ: ნასოფლარის სახელი კორში და ადგილის სახელწოდება კორეთი (სოფ. ზეკარი). კორ-ფუძე აქვს მსაზღვრელი სოფ. ნილეხის მიკროტოპონიმიაში მთას – კორ-თხა და მდინარე კორისწყალს.

სხვა ვარიანტი, შესაძლებელია კორში მეგრულ-ზანური „დო-კორ-უ“-დან მომდინარეობდეს და ჩაქტლო, მეგრული ადგილის მნიშვნელობით გააზრდებოდა („დო-კორ-უ“ – შეკრა. იხილეთ არნ. ჩიქვაძე, საზურ-მეგრული-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, გვ. 295). არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ სულხან-საბა ორბელიანი „კორ“ ადგილს „დო-კორ“-ის ფუძე სიტყვად გვხვდვხვდა. „დო-კორ/ფან“ – შქერინი, შქერინი.

44. ლაწიხა – მთა. სახელი ნაქვეყნარია. ნასახლი. მდებარეობს სოფ. ნერგეთის დასავლეთით. კომპოზირებულია ტოპონიმითა. კომპოზირებული სიტყვა „ლაწი“, რაც ძველ ქართულში ნიშნავდა დაბრუნებულ წყალ-ტალახანს გუბის აღნიშნვად. „ლაწი“ იგივეა, რაც ლაში ლაში – საფლანგო ტალახი. კომპოზირებული სიტყვა „ლაწი“ შესაძლოა მომდინარეობდეს სიტყვისაგან „ლაწი“. მეორე სიტყვა „ლაწი“ შესაძლოა მომდინარეობდეს სიტყვისაგან „ლაწი“. ამრიგად, „ლაწიხა“ თავდაპირველი ფორმა იქნებოდა „ლაწი/ლაწი“ (რაც შეეფუძნება კომპოზირებული სიტყვაზე დაერთულ ფორმას „ლაწი“, იგი ამ სიტყვათშემართებით მრავლობითობის ანარქიკობა).

არც ის არის გამორიცხული, რომ ამ ტოპონიმის საზღვრული სიტყვა „ლაწი“, სიტყვა „ხევის“ ძლიერ სახეცვლილი ფორმა იყოს (ლაწიხევი). ანალოგიისთვის შედარებულ კორთხა და კორისხევი (ნათელხის მიკროტოპონიმი), ასევე „მწვანათხევი“ – („მწვანათხევი“) – ნაბლარის ხეობის ტოპონიმია).

45. მანგალი – ნასოფლარი. მდ. ხანისწყლის მარცხენა ნაპირზე, სოფ. წყალთაშის სამხრეთით, 3 კმ-ში. ამჟამად ნასოფლარი ტერიტორია მთლიანად გატყვევებულია.

მალეს, გორჩასოულს, ვაკესერს, ვაშლარას, ვერხნალს, გამჭვირვალე სემანტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს და ნომინაციის მოტივის დადგენა შესაძლებელია. წარმოქმნის მომენტში მოტივირებული ზოგიერთი ტოპონიმის მოტივაცია დროთა განმავლობაში გაუჩინარებულა. მაგალითად, ზ. თოლორდავას განმარტება, რომ „ბარნალი ქვემო და ზემო იმერულ დიალექტში ჰქვია მთიანი ადგილს მდებარე ვაკე ადგილს“ (გვ. 5), ჩვენი აზრით, შეუძლებელია ტოპონიმ „ბარნალის“ წარმომავლობის დასადგენად გამოგვადგეს. სახელდებული ობიექტის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო **ბარნალი-ბარნალი**-ა. სხვათა შორის, **ბარნალი** ეწოდება ტყეს ვანის სატყეოში, ხოლო **ბარნალი/ბარნალი** – ბაღს სოფ. ძულუხში (ვანის მუნიციპ.). **ბარნალი** ჰქვია სახნავს

წიგნში ნასოფლარების სახელად გვხვდება **კინკლეეთი, ნაქალაქარი, ნიქაბეთი, სქურა, ნამარნევი, სინამულა, სორტიული, ტუბათი, ქვედა ნოლა, ხვირთა, ბერიეთი, თედორეთი, კაპარჩიკეთი, კილეეთი, კორში, მანცა-ლეეთი, მოძღვარეთი, ნაფიცარა, საკორში, ფრინეთი, გოთიეთი, მამანეთი, ნაბოსტნები** და სხვ.

ბალდათის მუნიციპალიტეტის მთის სოფლების ტოპონიმიაში ფიგურირებს შტოგვარები და საგვარეულო ჯგუფური მეტსახელები. მაგალითად, **იაკოვანების** უბანი ეწოდება უბანს სოფ. საკრაულაში. ავტორი გვაუწყებს, რომ იაკოვანების, კოსტაშვილების, მერაბიშვილების, ნაცრიშვილებისა და შატალაშვილების საკრაულელი კიკნაელები შტოგვარებია (გვ. 53). სოფ. ხანში მცხოვრები ნატრიაშვილების გვარის ჯგუფური მეტსახელი ფიგურირებს ტოპონიმ **ჩერქეზების წყაროში** (გვ. 9) და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ ქვემო იმერეთის, მათ შორის ბალდათის რაიონის ტოპონიმის მასალების გამოცემა ადრეც განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის სახელობის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ (იხ. საქართველოს ტოპონიმია (მასალები), ტ. III, ქვემო იმერეთი. შემდგენელი: შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა, მ. კემულარია, თბ., 2003). ამ წიგნისა და ზ. თოლორდავას მიერ ათ წელზე მეტი ხნის შემდეგ გამოცემული ტოპონიმური მასალის ურთიერთმედარებით საკითხით დაინტერესებული პირი მრავალ განსხვავებას აღმოაჩენს. ასე, მაგალითად, ქვემო იმერეთის ტოპონიმის მასალებში დასახელებულია ტოპონიმები – **დუბია** და **საჭირი** **ისლევი**, ხოლო ზ. თოლორდავა ასახელებს ვარიანტულ ფორმებს: **დუბიები** და **საჭირ-ლევი**. სარეცენზიო წიგნში დასახელებული არ არის სოფ. ხანისა და მისი შემოგარენის ის ტოპონიმები, რომლებიც თავმოყრილია 2003 წლის გამოცემაში. მაგ., **გელხვიძეების ნისქელი** (ნისქელი), **ტაბაშაძეების ნისქელი** (ნისქელი), **ტპიკარი/ქვედა ტბა** (სათიბი, საძვარი), **უზნარი** (სათიბი, ტყე), **ტყისუბანი** (სათიბი, ტყე. ზ. თოლორდავა სოფ. ხანის სამხრეთით მდებარე მთის სახელწოდებად ასახელებს **ვაიეთს** (გვ. 7), რაც შეტანილი არაა ქვემო იმერეთის ტოპონიმის მასალებში... ასეთი მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება. მაშასადამე, გასული საუკუნის 70-იან წლების მეორე ნახევარში ბალდათის (ყოფილი მაიაკოვსკის) რაიონის სოფლებში ჩანერილი ტოპონიმების მნიშვნელოვანი ნაწილი გაქრა, ან ფორმით და შინაარსით შეცვლილი ახალი სახელწოდება ჩაენაცვლა. ბატონმა ზურაბ თოლორდავამ სულაც ახალი, მანამდე უცნობი ტოპონიმებითაც შეავსო ბალდათის რაიონის ტოპონიმთა ძირითად ფონდი.

აღიარებული ჭკუმიერებობა: მთავარია ცალკეული რაიონების, ქალაქების, სოფლებისა თუ ხეობების ონომასტიკური მასალის გარშემო არსებული ინფორმაცია ზუსტად და ამომწურავად იყოს ჩანერილი და თვით მასალის ისტორიულ-ენოლოგიურ, ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ანალიზს კვლევა-ძიების შემდგომ ეტაპზე სხვების სუცევიად. ამიტომაც ვერა და ჩები ტოპონიმისტი ვ. შმილაუერი: „მასალის თავმოყრა მის ასხანზე უფრო მნიშვნელოვანია. ასხანა ხშირ შემთხვევაში ჰიპოთეზაა, ხოლო კეთილსინდისიერად ნაგროვები მასალა კი – ფაქტი. ამიტომ ზოგჯერ საესებლო საკმარისა მასალის შეგროვება, ხოლო დასკვნები თავისთავად ამოტივტივდება ზედპირზე“ (V. შმილაუერი, უცოდ დო ტოპონომასტიკე, ვრაჰა, 1963: 62).

ბატონი ზურაბ თოლორდავა იმ იშვიათ და ბედნიერ გამოხატვისათა რიგში დგას, რომელიც მშობლიური რაიონის მთებსა და ველებზე, ტყეებში, ხეობებში, ქალებში მისხალ-მისხალ აგროვებს დასავინწყებლად, მისაჩქმალავად ვერგამეტებულ ობოლ მარგალიტებს და დაინტერესებულია კეთილსინდისიერად ნაგროვებ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ეტიმოლოგიური ძიებითაც.

ასეთი ღირსეული, გულისხმიერებით აღსავსე ადამიანების მიმართ უღრმეს პატივისცემას მხოლოდ მაღლობის თქმით და მადლიერებით თუ გამოვხატავთ.

უაჩაღაა!



ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკის ინოვაციების ცენტრი 18 თებერვალს ატარებს კრეატიონს.

კრეატიონი – არის იდეების მართონი, ანუ ლონისძიება, სადაც შეკრებილი ადამიანები დროის მოკლე პერიოდში კონკრეტულ თემაზე ან ზოგადად არსებულ გამოწვევაზე აკეთებენ და ამუშავენ იდეებს, რომლის კომერციულიზაციაც შემდგომში შესაძლებელია.

პრაქტიკონი შედეგად სამი ეტაპიდან

1. საინფორმაციო შეხვედრა (სპეციალურად ამ ივენ-თისთვის თბილისის ტექნოპარკიდან ჩამოვლენ ორგანიზატორები და ტრენერები)

2. ერთდღიანი ინტენსიური კრეატიონის ორგანიზება

3. დამუშავებული იდეების განახლებული ვერსიების წარდგენა და პროექტის შეჯამება

პროექტში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ახალგაზრდას (15 და 30 წლამდე), რომელსაც აქვს იდეა და რომლის განხორციელებაც სურს; ან ახალგაზრდებს, რომლებსაც არ აქვს იდეა, თუმცა სიახლოვეთ დაინწყება პროექტს მისთვის საინტერესო თემაზე; აგრეთვე აქტიური ადამიანები, ვისაც აინტერესებს და იზიდავს გამოწვევები და სიახლეები.

პროექტის ორგანიზატორები გასწავლით თუ რა უნდა გააკეთოთ, რომ გახვიდეთ იდეაზე – ეს არის პრობლემიდან გამოსვლა, ალტერნატივის დაშვება და სიახლის დანერგვა.

მეტი ინფორმაციისთვის მობრძანდით ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკის ინოვაციების ცენტრში ან მოგვწერეთ ფეისბუქ გვერდზე.

აგრეთვე შეგიძლიათ მიწეროთ ან დაეკონტაქტოთ კრეატიონის ორგანიზატორს ილია მესხვილიძეს, ტ: 595 353 777; ელ-ფოსტა: ilia.meshvildishvili@gmail.com

ჩაერთეთ საინტერესო პროექტში!!!

P.S. ის სკოლები, რომელიც მეტ კრეატიული და აქტიური მოსწავლეებით უზრუნველყოფს კრეატიონს, გაემგზავრება ექსკურსიაზე თბილისის ტექნოპარკში!!!

მადლობა მკურნალს

2017 წლის 5 იანვარს მოულოდნელად აღმოვჩნდი „ჯეო ჰოსპიტალს“-ს ბაღდათის ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში, ფილტვების ანთებით. წინა 7 დღის ნამკურნალები ვიყავი, ოჯახურ პირობებში, ძვირადღირებული მედიკამენტებით. ანთება ჩამქრალი მეგონა. მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობის კურსი დაავამთავრე, ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გამოკეთებულა, თავს ცუდად ვგრძნობდი.

საავადმყოფოში დარჩენა, მითუმეტეს თავმდგმურის გარეშე, ჩემი ასაკიდან გამომდინარე (ვარ 84 წლის), ვერაფრით წარმომედგინა, მაგრამ ექიმ ნათია მსხვილიძის დაუხინებელი თხოვნით და ბოლოს კატეგორიული მოთხოვნით, იძულებული გავხდი დავრჩენილიყავი სტაციონარში. ამიყვანეს პალატაში, გამაცნეს მორიგე ექთანი, ახალგაზრდა გოგონა, ნინი ნატრიაშვილი. მან გულთბილად მიმილო. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიყავი სამედიცინო დაწესებულებაში მარტო, სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ. მთელი ღამე თავს დამტრიალებდა და ერთი წუთითაც არ დავუტოვებია უმეთვალყუროდ. წინა დღეებში მთელი ღამეების უძინარს, იმ ღამით 4-5 საათი მეძინა.

პირველი საათებიდანვე დამეწყო ჯანმრთელობის გაუმჯობესება. ეს მედლის ერთი მხარეა, არცთუ ისე საინტერესო. მე მინდა მედლის მეორე მხარეზე მოგიხსნათ. ეს ეხება რეანიმაციული პალატის თანამშრომელთა საქმიანობას.

ჩემი 50-წლიანი მუშაობის პერიოდში ბევრი კოლექტივი მიხნაგვს, მეც ბევრ კოლექტივში მიმუშავია, მაგრამ ასეთ მეგობრულ, ერთმანეთის მოსიყვარულე, ურთიერთპატივისმცემელ, გულისხმიერ გუნდს არასოდეს შევხვედრებოდა.

დილით ერთმანეთთან გულთბილი შეხვედრის შემდეგ, იწყებოდა მუხლჩაუხრელი შრომა, პაციენტებისადმი უაღრესად თბილი, მამაშვილური დამოკიდებულება, ურთიერთდახმარება, ერთმანეთისადმი ნდობა, გასაკეთებელი საქმის გაუყოფლობა – აი, ის მაღალი ღირებულებები, რომლებიც ამ კოლექტივის ახასიათებს.

განყოფილებაში ყველა თავისი საქმის კვალიფიციური სპეციალისტია, პაციენტებთან ურთიერთობაში ერთმანეთში ვერ განასხვავებ ექთნებს: ნინი ნატრიაშვილს, მაია გაჩეჩილაძეს, თეონა დარბაიძეს, ზანდა გუმბერიძეს, მარიამ ქოჩიაშვილს, მომსახურე პერსონალს თინათინ გუბელაძეს.

განყოფილების მუშაობის მთავარი წამმართველი ძალა, მისი ლოკომოტივი, მაინც აქ მომუშავე ექიმებია, ისინი მტკიცედ დგანან პაციენტთა სიცოცხლის სადარაჯოზე.

ნათია მსხვილიძის მიერ დასახული მკურნალობის სქემით, დანიშნულებისა და მთელი პროცესის სწორად წარმართვაზე ზრუნავენ პალატის ექიმები: თამაზ გრძელიძე, რაფაელ ჯანელიძე და გიორგი კუბლაშვილი. მათი ყურადღებისა და მეთვალყურეობის გარეშე არ რჩება არცერთი პაციენტი.

თავისი მოკრძალებული წვლილი პაციენტების მკურნალობაში შეაქვთ რენდგენოლოგ ექიმს რევაზ დვედარიანს და მედდა ციცო ცერცვაძეს, აგრეთვე ექიმ ნანა ბურჯანაძეს, კარდიოლოგ თეა გოგიშვილს.

და ბოლოს, ჩემი შეხედულებით, ასეთი მეგობრული, ერთ გუნდად შეკრული კოლექტივი არ იქნებოდა კარგი და უნარიანი ხელმძღვანელის გარეშე. ბატონი კახა მეფისაშვილი არის სწორედ ის პიროვნება, რომელსაც აქვს დიდი ორგანიზაციული ნიჭი და შეუძლია შექმნას მეგობრული, მოსიყვარულე, თავის პროფესიას ღრმად დაუფლებული გუნდი. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ბატონი კახა ცნობილი ჟურნალისტის, მრავალი ცენტრალური გაზეთის საკუთარი კორესპოდენტის, გივი მეფისაშვილის შთამომავალია.

მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადო მთელ რეანიმაციული სამსახურის თანამშრომლებს ჩემი მოკლე დროში გამოჯანმრთელებისათვის.

შაქრო კვირიკაშვილი
ბაღდათის საპატიო მოქალაქე, პენსიონერი.

სტუმრად მელვინებთან



ბუნებრივ მომადლებულ ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, ბაღდათი ოდითგანვე გამოირჩეოდა მევენახეობითა და ღვინის წარმოების კულტურით – ცოლიკოური, ციციკა, ოცხანური საფერე, კრახუნა, ჩხავერი, ალდასტური ... უნიკალური ვაზის ჯიშების ღვინობით დღესაც თავს იწონებენ ბაღდათელი მეღვინეები. სწორედ მათი მარნებისა და მეურნეობების დასათვალისწინებლად და საქმიანობის გასაცნობად სტუმრობდნენ ბაღდათს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე და მოადგილეები იოსებ ხახალიაშვილი და გიორგი ჭიღვარია. მასპინძლებმა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ გოგსაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ გრიგოლ მაჩიტაძემ სტუმრებთან ერთად შუქრი ნაკაშიძის, გაიოზ სოფრომაძის, ვახტანგ ჯიხვაძის, რატი არმილაშვილის, ბაია აბულაძის, ზურაბ ლვალაძისა და სიმონ ჩხეიძის მარნები მოინახულეს.

თხილის ბალის გაშენების ოპტიმალური ნორმები



კულტურები ჩაიხენება ნიადაგში ყვავილობის დროს.

უნდა შემუშავდეს ბალის ორგანიზაციული მოწყობის სქემა, რაც ნაკვეთის მაქსიმალურ ათვისებას გულისხმობს. ორგანიზაციული მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იქნას ბალის მთავარი და შიდა გზები, ქარსაფარი ზოლები, სამეურნეო ეზო, სადრენაჟე და საარწყავი სიტემების განლაგება, ბალის დაგვეგვის წესი და ა. შ.

ნაკვეთის შერჩევის და საპროექტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ უნდა დაიწყოს ნიადაგის მომზადება (პლანტაჟი, ჯვარედინი გადახვნა, დადისკვა, დაფარცხვა, დაგვეგმარება). საგაზაფხულო დარგვისთვის ნიადაგი უნდა მომზადდეს შემოდგომით, ხოლო საშემოდგომო დარგვისათვის 1,5-2 თვით ადრე. მცენარის გაშენება შეიძლება მოხდეს კვების არის (განლაგების სიხშირე) შემდეგი სქემით: 4x4 მ, 5x3 მ, 5x4მ, 5x2 მ. დარგვამდე დასარგავი ორმოს მომზადება ორი კვირით ადრე ტარდება. ორმოს სიდიდე 40x50x40 სმ-ია, სადაც შეტანილი უნდა იქნეს 10-15 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფოლომიტიანი და სხვა ორგანული წარმოშობის გადამწვარი ორგანული მასა.), 100 გრ. ფოსფოროვანი და 60 გრ. კალიუმიანი სასუქი, ორმოში ფესვები კარგად უნდა გაიშალოს, ორმო შეივსოს მიწით, კარგად მოიტკეპნოს და მოირწყოს. მორწყვის შემდეგ ნერგი უნდა გასწორდეს, დამაგრდეს ჭიკოზე და შემოეყაროს მიწა.

საგულისხმოა, რომ თხილი ჯვარედინად დამამტვერიანებელი მცენარეა, ამიტომაც ბალის გაშენება რეკომენდირებულია 3 სხვადასხვა ჯიშით, რომელიც იქნება სამრეწველოდ დარაიონებული და ბაზარზე მოთხოვნადი ჯიში, სადაც ნერგის მთლიანი რაოდენობის 10-15 % დამამტვერიანებელი ჯიში იქნება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს
ბაღდათის საინფორმაციო
საკონსულტაციო სამსახური

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა. (ა.) ი. პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი
საქართველო, ბაღდათი, რუსთაველის ქ. №68
ტელ: 595 538 536; 595 452 803
ელ ფოსტა: sainformacioturizmi@gmail.com

რედაქტორი სოსო ხობოროიძე
„ჩემი გზა“ გენდი:
ანა ქორიძე, მარიამ ოქროჭელიძე,
ანეელინა ჭავჭავაძე,
ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯავადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორი“